№ 136 30 გიორგობისთვე, კვირა 1866—1875 30 გიორგობისთვე, კვირა № 136

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და ст. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## 1876 წლის ხელის-მოწერა

მომავალს 1876 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს გამოდის.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

**ხელის-მოწერა** მიიღება **თ ფ ი ლ ი ს შ ი**—„დროების“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ზანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Д р о э б а“* ამ მოკლე ხანში გამოვაცხადებთ, სხვა ქალაქებში ვისთან შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა.

| გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში | 8 — | „ |
| ნახევარ წელიწადში | 4 და | 50 |
| სამის თვისა | 2 და | 50 |
| ერთის თვისა | 1 — | „ |

**აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ მომავალი წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება, გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ალაგი გარკვევით იყოს დაწერილი.

# საქართველო

### ქალაქის გამგეობა ქუთაისში

ამ ორი კვირის წინათ ქუთაისში პირველად იყო არჩევანი, ახალის წესით, ქალაქის გამგეობის მწევრთა, ხმიანებთა, ანუ როგორც ჩვენში ეძახიან, დეპუტატთა.

ამ სტატიის ქვემოთ მოყვანილის სიიდამ მკითხველი ნახავს იმ პირებს, რომელნიც ქუთაისს ამოურჩევია თავის საქმეების გამგებლებად.

ვინც იცის—თუ როგორ დახლართულია ქუთაისის საქალაქო საქმეები, ის დაგვეთანხმება, რომ ახალ გამგეობას წინ-დახედვითა და განსაკუთრებულის ანგარიშით მართებს ახლა საქმის დაჭერა.

ქუთაისი, მართალია, პატარა ქალაქია და პატარა შემოსავალი აქვს. მაგრამ ამასთანავე არც გასავალი აქვს ბევრი; საუბედუროთ, დღემდი ეს პატარა შემოსავალიც უხეიროთ და უანგარიშოთ იხარჯებოდა: თითქმის სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას ქალაქის ნამდვილ საჭიროების დაკმაყოფილებასა და იმისთანა საგნებს, რომელზედაც დახარჯული ფული მუდამ სარგებლობას მოუტანდა ქალაქს.

წარსული შეცდომანი ახლად ამორჩეულმა გამგეობამ კარგათ უნდა ასწონოს და აიცდინოს თავიდამ.

ზემო-მოყვანილი სია გვიმტკიცებს, რომ, თავის წარმომადგენლების არჩევანის დროს, ქუთაისის ამომრჩეველთ არც მაინცა-და-მაინც მაღალ წოდების პირების ამორჩევა ჰქონიათ მხედველობაში, არც შეძლებისა და არც სარწმუნოებისთვის მიუქცევიათ ყურადღება (ურიები არიან არჩეულნი დეპუტატებად).

მაშ სადამე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ახალგაზდები, ეს საზოგადო საქმისათვის გულ-შემატკივარნი უფრო კარგათ, და გულმოდგინეთ მოჰკიდებენ ქალაქის გამგეობის საქმეს ხელსა, ვიდრემ დღემდი ყოფილა, ვიდრემ დღემდი მოსწრებია ქუთაისი.

მხოლოთ ერთი გვაშინებს ჩვენ ამ შემთხვევაში:

ჩვენ ვიცით საზოგადოთ იმერლების ხასიათი: ვიღაცას უთქვამს ფრანცუზის ხასიათზე, რომ ყოველი ორი ფრანცუზი სამს პარტიას, სამს სხვა და სხვა ბანაკს და ჰაზრს წარმოადგენენო.

სწორეთ ამისივე თქმა შეიძლება იმერლებზედაც: ხუთი კაცი ერთად შეკრბეს იქ, ერთად, თანხმობით რომ რომელიმე საზოგადო საქმე წაიყვანოს,—ეს თითქმის დღემდი შეუძლებელ მოვლენათ შექმნილა. პარტიობა, განხეთქილობა, უთანხმოება, ერთმანეთის წინააღმდეგობა,—ყველა ეს იმერეთში ერთობ ჩვეულებრივი, ერთობ ყოველ-დღიური მოვლენაა ყოველს კრებისა და საზოგადო გარემოებაში, ყოველს წვრილს და დიდს საქმეში....

იქნება ეს იმათ სიცხოველეს, საზოგადო საქმისადმი ინტერესს და სხ. ბევრს რასმე კარგს ნიშნავდეს. მაგრამ, უეჭველია, რომ ეს ხშირად საქმის გაკეთებასაც უშლის.

აი იმ იმერლების თვისების გვეშინიან ჩვენ; გვეშინიან, ვაი თუ ამ ახალ კრებაში, ამ გამგეობაში, რომელსაც ყველაზე უფრო ეჭირება თანხმობა, ძმურად საქმის წაყვანა,—ვაი თუ აქაც, ან წვრიმალი თავმოყვარეობისა და ან სხვა ინტერესების გამო, რამე უთანხმოება არ ატყდეს მწევრთ შუა და ამით საზოგადო საქმე არ იზარალოს.

დღეს ამ ახალ გამგეობისთვის ამის მეტს არაფერს არ ვინატრით: რომ ხელი-ხელში გაყრილი, ძმურად, თანხმობით წაეყვანოსთ იმათ ქუთაისის გამგეობის საქმე. ეს თუ იქნება, სხვისი არაფრისა გვეშინიან; დარწ-

# ფელეტონი

### კომედია „პეპო“ ქართულს სცენაზედ

წარსულ ხუთშაბათს, 27 გიორგობისთვეს, ქართული სცენის მოყვარეთა თფილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს უფ. გ. ა. სუნდუკიანციას სამ მოქმედებიანი კომედია—„პეპო“, ნათარგმნი ავტორისგანვე თ. რაფ. ერისთვის შეწევნით.

თავიდამვე ვიტყვით, რომ ამისთანა ჰაზრიანი, სცენის დამაკმაყოფილებელი და დამაფიქრებელი კომედია ჩვენ საზოგადოებას ქართულს ენაზე და სცენაზე ჯერ არ უნახავს.

კომედიის ღირსებას თითქმის შეეფერებოდა მოთამაშეთა ასრულება და წარმოდგენაც.

წარმოდგენის დროს, ერთმა ქართული სცენის მოყვარემ და იმისთანა პირმა, რომელსაც ამ საქმეში გაგება აქვს, სთქვა:

— სად იმალებოდნენ დღემდი ეს მოთამაშენი? სად იყო ეს კომედია?!

×

მ გრამ, სანამ თვითონ წომედიაზე და წარმოდგენაზედ რასმე ვიტყოდეთ, ორიოდე სიტყვით კომედიის შინაარსს გადმოგცემთ:

მოქმედება უმთავრესად ორს პირზე ტრიალებს: პეპოზედ და არუთინ ზიმზიმოვზედ.

პეპო უბრალო მეთევზე კინტოა, რომელსაც ჰყავს გასათხოვარი დაი (კეკე). მამას დაუტოვებია თავის ქალისათვის მზითევად ასი თუმნის ბარათი არუთინ ზიმზიმოვის სახელობაზე. ბარათი იკარგება, კეკეს საქმრო უმზითოთ ჯვარის დაწერას არ აპირებს; ნიშნობა ყოფილა, სასიძო უკოცნია კეკესთვის და ახლა, რადგან ფულს ვერ აძლევენ, უარს ამბობს და სხვა საცოლოს ეძებს.

ყველამ იცის, რომ ეს ფულები არუთინას მმართებია; კეკეს დედა და ძმა (პეპო) დარწმუნებული არიან, რომ მდიდარი არუთინა იმათ ფულებზე უარს არ იტყვის. მაგრამ, როცა სათხოვნელად მიდიან, ბარათს თხოულობს, „მე არ ვიცი, ჩემს დავთრებში არა სწერია, არ მახსოვსო, ბარათი მოიტანეთ და თქვენი ფულები მიიღეთო.“ ბათილამას ჰპირდებიან, ხელწერილს აძლევენ, კეკეს დედა, პეპო, მოხუცებული გიქო (მოწამე ფულის სესხებისა და ბარათის ცუდი შემნახავი) ყველანი სთხოვენ ტირილითა და ცრემლით, მოწმებად უდგებიან; მაგრამ არუთინ თავისას არ იშლის: ბარათი მოიტანეთ და ფულებს მიიღებთო.

ზანა თვითონ არ იცის, რო მართებს! მ გრამ რად მისცემს, თუ კანონით ვერ გადაახდევინებენ, თუ დამტკიცება არა ექნათ რა! რას დასდევს პატიოსნებას, სინიდისს! რა ენაღვლება, რომ ღარიბი ოჯახი, ახალგაზდა ქალი იღუპება იმის უარის თქმით და უსინიდისობით! ხალხის თვალში ხომ წმინდა კაცად გამოვა: დამტკიცება, ბარათი ვერ წარმოადგინეს, ფული არ მისცა! ვინ გაამტყუვნებს იმას ამისთვის? სინიდისიო! რას მიქვიან სინიდისი! „იმას რომ მივცე, სხვებს რაღა უთხრა? სხვებმა რაღა დააშავეს?“

×

მოუთმენელი სასიძო შემოსთვლის: დღესვე თუ არ გადავსწყვიტეთ საქმე და ფულები არ დამითვალეთ თქვენს ქალზე ხელი უნდა ავიღო და სხვა საცოლოს ვირთავო.

პეპო უკანასკნელად მიდის არუთინასთან, უკანასკნელად ევედრება, სინიდისზე აყენებს. მ გრამ ვედრება და ცრემლები იბას აბა რას შეარყევენ! უარზე დგას... მოთმინებიდამ

მუნებული ვართ, რომ რაც ამ უკანასკნელ წელიწადებში იზარალა ქალაქმა, იმას ახლა ამოიგებს ამ ახალი გამგეობის მეცადინეობითა და წინდახედულად საქმის წაყვანით.

ს. მესხი

## დღიური

კავკასიის მთებიდამ გზებზე, კობისა და გუდაურის სტანციებთან, თოვლის ზვავები ჩამოწოლილა და ფოჩტის გზა გაუფუჭებია. ამის გამო, ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში, რუსეთისა და უცხო ქვეყნის ფოჩტები ჩვენში ძალიან უთავბოლოთ და უდროვოთ მოდის.

* * *

გასულ ორშაბათს, 25 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში „კავკაზის“ რედაქტორმა უფ. სტალინსკიმ წაიკითხა თავის შენიშვნები შესახებ კავკასიაში ჩაის ხის გაშენებისა. უფ. სტალინსკის ჰაზრით, გურიის მაგალითი, სადაც ჩაის ხეს კარგათ გაუხარია, გვიმტკიცებს, რომ თუ ჩვენი მემამულეები მოვლას დაისწავლიან, ჩაი ჩვენში ბევრგან გაიხარებს და, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს მხარეს; ამის გამო, იმის ჰაზრით, საჭიროა, რომ შესდგეს ჩვენში ცალკე კამისია, რომელსაც მინდობილი ექნება — თუ რა მცენარეები სად უფრო ივარგებენ და გაიხარებენ.

* * *

მოგვყავს სია იმ პირებისა, რომელნიც ქუთაისმა თავის წარმომადგენლებად ამოარჩია ახალს ქალაქის გამგეობაში:

პირველს განყოფილებაში ამორჩეულნი არიან: ა. ფიფინაშვილი, ზ. აბაშიძე, კ. ხარაზოვი, ა. ელიგულაშვილი, ი. დავიდოვი, კ. ნიჟარაძე, ნ. ღოლობერიძე, ი. სტეფანოვი, ს. აკოფოვი, პ. თუმანოვი, დ. ჭანანაშვილი, პ. ჩარექოვი, ა. ლორთქიფანიძე, ს. თუმანოვი, ს. მეფისოვი, კ. ჭვარიანი, პ. ბეთანოვი და ი. დუკლაკი.

მეორე განყოფილებაში: ი. ბაინდუროვი, ზ. ღოლობერიძე, ი. ლორთქიფანიძე, ს. ღოლობერიძე, მ. კაკითელაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ლ. ასათიანი, ი. ზედგინიძე. ი. მესხი, ი. თუმანოვი, დ. წურინოვი, ბ. ხელთუფოვი, ს. ფიფინაშვილი, მ. რიჟინაშვილი, კ. ბაგემეისტერი, ს. აბულაძე, ლ. თუმანოვი და შ. იაკობაშვილი.

მესამე განყოფილებაში: ს. ღულაძე, ი. კლემენტოვი, ს. ჭვარიანი, ზ. ანდრონიკოვი, დ. ალავიძე, ა. ჭოლოშვილი, დ. ჩხეიძე, ბ. კიზირია, კ. მარჯანოვი, პ. ფარალოვი, კ. ერისთავი, ი. პურადოვი, ი. მხეიძე, მ. ბერუჩევი, შ. ელიგულაშვილი, პ. ხოჯაშვილი და მ. ბაბაშვილი.

* * *

აქაურს ნემენცების კლუბში წასრულს 22 ნოემბერს გამართეს ბალ-მასკარადი გერცოგოვინისა და ბოსნიელების სასარგებლოთ. შემოვიდა სულ 104 მ.ნ.

* * *

გაზეთს „კავკაზ“ გაუგონია, რომ ამ მოკლე ხანში, იმ ობოლი სომხის ქალების სასარგებლოთ, რომელნიც აქაურს საქალებო სასწავლებლებში სწავლობენ, კონცერტი იქნებაო.

* * *

უფ. დ. რ. წერეთელი გვწერს დ. საჩხერიდამ, რომ ზემო-იმერთში იმდენი სახალხო ზღაპრები, ანდაზები და არაკები შევკრიბეო, რომ ერთ წიგნს შეადგენსო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

საჩხერიდამ, 22 ნოემბერს

ჩვენი პატარა ქალაქი საჩხერე დღემდინ მყუდროთ ცხოვრებდა, დღეს მომრიგებელი სასამართლოც გვყავს და პოლიციაც და, რასაკვირველია, უმეტესი მყუდროება და მოსვენებული ცხოვრება იქნებაო, — იტყვის მკითხველი; მაგრამ შეცდება!

დღეს საჩხერეში და ახლო-მახლო სოფლებში ღამე კაცს მოსვენებით ვეღარ დაუძინია; ქურდობამ შენი ჭირი წაიღოს, მაგრამ სიცოცხლე ტკბილი არის, ვის არ უნდა ორი დღის სიცოცხლე! რა უნდა ქმნას კაცმა, რომ დაიცვას სიცოცხლე? არაფერი არ იქონიო, ღამე მაგრათ კარი ჩაკეტე, თოფი და დამბაჩა გატენილი მოიწვინო საწოლში, თავ ქვეშ ხანჯალი იქონიო, ხმალი ამოიღო და გვერდს მოიდო, და ვინცობაა ავაზაკები დაგეცენ, იპატიჟებ თავს. თუ თავს უშველი და იმ ავაზაკების დასჯას მოინდომებ, მაშინ ერთი ორიოდე კაცი სანდო მოწმათ უნდა იყოლიო, ვინცობაა დაგეცენ, გიმოწმონ, თორემ ავაზაკები შეურაცხებისათვის პირ იქით დაგსჯიან, გიჩივლებენ.

საჩხერში ცხენის ქურდობას და პირუტყვისას ხომ ანგარიში არ აქვს; ცხენებს აგზავნიან ოდიშს და ოდიშიდან აქ მოყავთ. მერმე აქედან ოსეთში და სხვაგან. ისე გაიწაფენ ქურდობაში, რომ გაბუნია და დანიელია შაგირდებათ აღარ ივარგებენ საწერეთლო ქვეყანაში!

საჩხერის ბაზარში რომ გაიარო, უანგარიშო მილეთის ხალხს ნახავ; თუ ერთად გინდა ნახო, შებძანდი ფრანცუზის ლუის სასტუმროში და ნახავთ იქ ყველას; ბილიარდს თამაშობს ზოგი, ზოგი ქაღალდს და ზოგი კუთხეში ჩურჩულობენ, ზოგი ჩონგურს უკრავს, ზოგი ჭიანურს და ზოგი დამღერის.

ნახე ერთი, ჰკითხე: სად აქვთ ბინა ამ თაბუნს? ვსთქვათ იცანი ერთი №; ეს სომეხი რომ მოკლეს, იმ საქმის თაობაზე დაჭერილი იყო; მერმე თავდებ ქვეშ გამოუშვეს! სწორეთ ის არის! ჰკითხავთ: „თქვენ, ყმაწვილო, ვისთან ხართ აქ? გეტყვის: „ქნეინას ვახლავარ!“ მეორეს იცნობ მსგავს: „თქვენ ვისთან ხართ აქ?“ ქნიაზთან ვარ, ჩონგურს უკრავ ხოლმე, ვიმღერი.“ მესამე და მეოთხე სხვა და სხვას გეუბნებიან...

საჩხერეში ჯერ რომ წერეთლებს დაცემოდეს ვინმე, არ გაგვიგონია, და ეხლაც ისე არ დაიცლება მათი სახლი, თუთხმეტი მოსამსახურე ბიჭი მაინც არ იყოს მათ სახლში.

1 ამ ნოემბრის თვეს დაეცენ თავადს გიგო წერეთელს თავზე ავაზაკები. ღამე იყო, მართალია, მაგრამ 15 დღის მთვარე დღესავით ბრწყინავდა. წაღებით ვერა წაიღესრა; მაგრამ მოსამსახურე ბიჭი გალახეს და დასჭრეს. ყური მოსჭრეს. გიგო წერეთელი თვითონ კუტი არის, დამბლათ მოწყვეტილია წელ ქვევით. მაგრამ დამჯდარს ეგრე ახირებულათ ვერ მოკლავს ავაზაკი: ყოველთვის ამოღებული ხმალი და რევოლვერი გვერდს უძევს.

იმ დღეს კი ესრე იყო თავის სახლში; ბიჭი უწევა. იმ ღამეს ბიჭმა ჭამა საფერეშოში ბიჭებთან და ბატონის სადგომში არ წავიდა, ბიჭებთან დაიძინა ბიჭის, მოლოდინე; ბატონებმა კარი არ დაკეტეს და დაიძინეს; ეს ბიჭი ხშირათ დგებოდა და მალ-მალ კარში იხედებოდა, ეს შეამჩნია მეორე ბიჭმა და გაფთხილდა. როდესაც მოატანეს ავაზაკებმა იმ ბიჭმა, რომელიც ბატონის სადგომში უნდა წოლილიყო, დაიძინა და ავაზაკები მიადგენ გაღებულ კარებს; იმ დროს მოუსწრო სხვა ბიჭმა, რომელმაც შენიშნა, რომ ბატონის კარი ღია უნდა იყოს, ბიჭი არ სწევს იქ და დააპირა დაყვირება; მაგრამ სტაცეს ხელი და წაათრიეს ტყეში, პირზე ხელი დააჭირეს და სიკვდილი მოუნდომეს. მაშინ ერთმა თაბუნთაგანმა შერისხა ისინი, ბიჭს ნუ მოკლავთო. ორევაში წამოავლო ქვას ხელი ამ ბიჭმა და ფანჯარას კრა და მინები შეამტვრია, და წამოცვინდენ ზეზე, ვინც იქ იწვენ ყველანი. ავაზაკები გაიქცენ, მაგრამ იმ ბიჭს ერთი ორიოდე ხანჯალი შემოჰკრეს და ყურიც ჩააჩეხეს....

იქს

---

გამოსული პეპო გინებას, ლანძღვას დაუწყებს.......

ცოლისაგან (მეფემიასაგან) წაქეზებული არუთინ უჩივლებს პეპოს შეურაცხყოფისათვის; მაგრამ შეურაცხყოფა იმისთვის არა არის რა: იმას მხოლოთ იმის ეშინიან, რომ პეპოს ლანძღვას ბიჭები დაესწრო, ისინი ხალხში იტყვიან ამასაო და ქვეყანა რომ შეიტყობს, რას იტყვისო. აი, ეს არის ნამდვილი მიზეზი საჩივრისა და არა შეურაცხყოფა.

×

ბოლოს არუთინას ბარათიც გამოჩნდება.

ამოჩნდება, რომ ის ბარათი, რომელიც ბიქოს ჰქონდა მიბარებული, იმის ძმის-წულს, პეტერბურღში მოსწავლეს, წაუღია შემთხვევით სხვა სიგელებთან და ძველ ფულებთან ერთად, რომელიც მეცნიერებისათვის გამოსადეგად მიაჩნდა. რო უნახავს ყმაწვილს, ეს ბარათი არაფერში გამომადგებაო, უკანვე დაუბრუნებია ბიქოსთვის.

×

ახლა მეორე მხარე იწყება მოქმედებისა; ახლა მეორე მხარეს ცნობილობთ მომქმედ პირებისა:

პეპოს ერთი საბუთიც კიდევ ემატება იმის სათქმელად — თუ რამდენათ უგულონი და უსინიდისონი არიან არუთინას მსგავსი მდიდრები. ის არ დასდევს, რომ ციხეში უნდა ჩაჯდეს არუთინას შეურაცხყოფისათვის; დიდ კმაყოფილებას შეადგენს იმისთვის ის გარემოებაც, რომ შეუძლიან თავის სიტყვების სინამდვილე და არუთინას უპირწყლობა დაამტკიცოს, და დაამტკიცოს ყველასთვის, მთელ ქვეყანას შეატყობინოს — თუ როგორები არიან ეს მდიდრები, როგორის საშუალებით შეუძენიათ ამათ ეს სიმდიდრე, ეს ფული, ეს მშვენიერი მორთულობა და სხვ.

×

დახეთ მეორეს მხრით არუთინას მოქმედებას მას აქეთ, რაც ბარათი აღმოჩნდა: წელში მოწყვეტილი, შერცხვენილი და თავ-ნაკარ დაყრილი მოდის ის პეპოსთან და ეხვეწება, რომ თუ გინდა, ერთს ორად მოგცემ შენს ვალს და ბარათი მომეციო. არ ვიცოდიო; რადგან ეს ბარათი აღმოჩნდა, ახლა დავრწმუნდი, რომ მართლა მმართებია, შევრიგდეთო.

შუშან (პეპოს დედა), ბიქო, კაკული (კინტო — პეპოს ამხანაგი), იმის და, — ყველანი ევედრებიან პეპოს, შეურიგდიო, ფულები გამოართვი, ციხიდამაც განგათავისუფლებსო და გაუშვიო.

მაგრამ პეპო არ ეთანხმება.

„— მივსცე, რომ იმის მასხარად გავხდე? რომ ხალხში მტყუანი მე დავრჩე და მართალი ეს? ციხის შიშით თავი გავიყიდო! არა, დედავ! ეს ბარათი ღმერთს ხრმლად ჩამოუგზავნია ჩემთვის! ამითი უნდა მოვსჭრა იმას თავი.... რამდენი შენისთანაები იწვიან ამის ხელში! (კეკეზედ ანიშნებს) რამდენი ამისთანაები სტირიან! რამდენი ჩემისთანაები იტანჯებიან! ერთმა მაინც არ შეატყობინოს ქვეყანას ამის საქმეები?! ერთმა მაინც არ შეჰყვიროს, რომ ეს კაცი, რომელსაც ყველანი თაყს უკვრენ, ყველანი ეპატიჟებიან, ყველანი ეფერებიან და პატივსა სცემენ, — რომ ეს ის კაცია, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არა არის რა ქვეყანაში?!.. ეხლა იტირეთ, რამდენიც გინდათ.... საწყლის ტირილი, ალბათ, იმისთვის გაუჩენია ღმერთსა, რომ მდიდრის ბოროტება მოეცხოს!“

ამ უკანასკნელი სიტყვების შემდეგ, კარზე მოადგება პრისტავი და პეპო ციხეში მიჰყავთ. შექნება ტირილი დედისა და კეკესი. კაკული მუშტით მიადგება სახტად დარჩენილს არუთინას.... სცენა.. ფარდა დაეშვება და კომედია თავდება.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ახალ-სენაკიდამ, 27 გიორგობის

თეკლათის საზოგადოებაში, სადაც ხუთი-ექვსი გლეხი კი შეგროვდება ამ ჟამად ერთად, უეჭველად დაიწყებენ გაცხარებულ ბაასს, და რომ დაუახლოვდეთ, გაიგონებთ სჯას იმ ფული-პარია მამასახლისზე, რომელიც ამას წინათ „დროების“ მე-111 №-ში იყო მოხსენებული.

როგორც „დროება“ გვაცნობებდა, ის მამასახლისი დარჩა სამსახურში იმ პირობით, რომ მოპარული ფულების რამოდენიმე ნაწილი უნდა გარდაეხადა. ამ პირობის სისრულეში მოსაყვანათ, მამასახლისმა წარმოადგინა თავდებები, რომელთაც იქ დამსწრე ადმინისტრაციის წევრმა ჩამოართვა პირობა, რომ აღნიშნულ დროზე ის ფულები, თუ არა მამასახლისს, მათ უნდა გარდაეხადათ; და ამ სახით ჩვენს გლეხებს ეგონათ, რომ განთავისუფლდენ იმათგან, რომელნიც უნდა მისდგომოდათ მეორეჯერ ფულების სათხოვნელათ. მაგრამ სჩანს მოტყუებულან: მამასახლისის თავდებებს ჰგონიათ: რაკი ჩვენი მამასახლისი სამსახურში დარჩა, იმ ფულებსაც გარდიხდის და ჩვენც საჭიროების დროს კარგ პატივს მივიღებთ მისგანო! ეხლა გაუგიათ თავდებებს, რომ მამასახლისს დიდი დღე აღარ აქვს სამსახურისა, რადგანაც ათასი ამისთანა უწესო მოქმედება მისი გამოაშკარდა, ფულის გარდახდაზე უარი ჰყვეს. ამბობენ, რომ ფულები საზოგადოებამ გარდიხადოსო, ჩვენი პირობა ყალბი არისო, ას მანეთს ზევით სოფლის სასამართლოში დამტკიცებულ პირობას არ აქვს ძალაო და სხვა....

ახლა ჩვენი გლეხები ცდილობენ, რომ როგორმე თავი გაინთავისუფლონ, მაგრამ როგორ და საიდგან? ჩემის ჰაზრით, რიგია, რომ ეს ფულები, რაკი ითავდებეს მამასახლისის თანამგრძნობ თ ვდებებმა გარდიხადონ, რადგანაც თვითეულს ბევრი არ მოუწევს, და საწყალ გლეხებს, რომელთაც უიმისოთაც ბევრი გვარი გარდასახადი აქვთ, ააცილონ ეს უსამართლო გარდასახადი.

**ი. ხ.**

# რუსეთი

შინაგანი და უცხო ქვეყნების საქმეების სამინისტროში ამ ჟამად სჯაარის იმაზედ, რომ საზოგადო ფოჩტის კონვენციის (ფოჩტის კავშირის) ძალა ყველა იმ სახელმწიფოებზედაც გავრცელდეს, რომელნიც დღემდინ არ არიან ამ კავშირშიო.

*
* *

ვარშავო-ვენისა და ბრომბერგის რკინის გზების გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ამ გზების ტელეგრაფის სტანციებზე ყველგან მიიღონ ქალები სამსახურში ტელეგრაფისტებად; მაგრამ იმ პირობით, რომ ასს მოსამსახურე კაცში ქალების რიცხვი ხუთმეტზე მომეტებული არ უნდა იყოსო.

*
* *

მკითხველმა იცის, რომ ერთმა მდიდარმა მემამულემ 800,000 მანეთი დაუტოვა ანდერძით თავის უეზდის გლეხებს, იმისთვის რომ იმათ ბებატონებისაგან მამული დაიხსნან. ამ ანდერძის გამოცხადების შემდეგ გაზეთებში სწერდნენ, რომ მიცვალებულის ძმის წული სჩივარს იწყებსო ამ ანდერძის თაობაზედაო და უნდაო, რომ ნაანდერძევი ფული მიითვისოსო. მაგრამ ახლა უფ. პანტელეევის წიგნია დაბეჭდილი გაზეთებში და ამ წიგნში ის ამბობს, რომ მე სრულებითაც არ მინდა, რომ მიცვალებულის სურვილს წინ აღუდგეო, მხოლოთ იმას ვეძიებო, რომ მიცვალებულმა რამდენიმე მოსამსახურე დააგდო უჯამაგიროთ, დაუკმაყოფილებელადაო და იმ ფულებიდამ კანონით იმათაც ერგებათ რამეო.

*
* *

ამ დღეებში გამოვიდა რუსულს ენაზე უფ. ანტონოვიჩისა და ვეინბერგისაგან ნემეცურიდამ ნათარგმნი ერთი, როგორც ამბობენ, ძლიერ შესანიშნავი წიგნი, რომელსაც სახელად „ახალი პლუტარქი“ ჰქვია. იმის და გვარად, როგორც ძველმა მწერალმა პლუტარქმა აღწერა ცხოვრება ძველი გამოჩენილი კაცებისა, ისე ამ წიგნშია აწერილი ახალი დროების დიდი კაცების ცხოვრება. ჯერჯერობით ოთხი დიდი კაცის ბიოგრაფია გამოვიდა: მარტინ ლუტერის, ოლივერ კრომველის, ჰენრიხ მეოთხისა (საფრანგეთის მეფისა და ვოლტერის.

*
* *

რუსულს გაზეთს „კვირაში“ დაბეჭდილია შენიშვნა, რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ თუმცა სამეურნეო გამოფენაებს საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა აქვთო; მაგრამ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებათ ეს საქმე ისე უხეიროთ და უთავბოლოთ მიჰყავთო, რომ ხალხი მეურნეობის წარმატებისათვის ჯერჯერობით ამ გამოფენით თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათო.

# უცხო ქვეყნები

**გერმანია.** ბერლინის პარლამენტის სხდომაში 18 (30) ნოემბერს მოლაპარაკება ყოფილა დეპუტატის მულჩე-დელიჩის იმ წინადადებაზე, რომლითაც ის თხოულობდა, რომ პარლამენტის დეპუტატებს სხდომების დროს ყოველ-დღიური ჯამაგირი უნდა ეძლეოდესო. როგორც უკანასკნელი ფოჩტით მოსული გაზეთები გვაცნობებს, პარლამენტს ეს წინადადება მიუღია.

ამ კითხვის გათავების შემდეგ, დაუწყიათ განხილვა მმართებლობისაგან წარდგენილის ახალი გადასახადის დადების თაობაზე (პივოზე, ლუდზე). ფინანსთ მინისტრის გარდა, ამ წინადადების მიღებაზე თვითონ გერმანიის კანცლერს თ. ბისმარკს უთქვამს რამდენიმე სიტყვა; მაგრამ, როგორც გაზეთებიდამ სჩანს, პარლამენტის მწევრთა მომეტებული ნაწილი ამ ახალი გადასახადის წინააღმდეგი იქნება და მაშა სადამე შესაძლებელია, რომ თ. ბისმარკს სამხედრო საქმისათვის დანიშნული ფული არ მოემატოს.

—

**საფრანგეთი.** ახლავე დაეტყო ის მავნებელი გავლენა, რომელსაც საფრანგეთი, ხალხის განათლების შესახებ, ახლად გამოცემულის კანონიდამ უნდა მოელოდეს. იეზუიტები და კლერიკალები დიდს ფაცა-ფუცში არიან, მთელს საფრანგეთში და საფრანგეთის გარეთაც აგროვებენ ფულებს, რომ საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებში საკათოლიკო უნივერსიტეტები გამართონ. ამ ჟამად, როგორც იწერებიან, პარიჟში, ლოლში და ანჟერში უკვე გუახსნიათ უნივერსიტეტები, რომელთაც ხალხის მოსატყუებლათ „თავისუფალ უნივერსიტეტებს“ ეძახიან. ამას გარდა მარსელში და ორ-სამ სხვა უმთავრეს ქალაქებში კიდევ მალე გაიხსნება ამ გვარი ახალგაზდობის გზის დამბნევი და გონების დამახშობელი უნივერსიტეტებიო.

—

**ესპანია.** აი ის წიგნი დონ კარლოსისა, რომელიც ამას წინათ იმან ესპანიის კოროლს დონ-ალფონსს მისწერა:

„ჩემს ძმისწულს ალფონს.

„ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა შენთან საომრად ემზადება და გამოგიცხადებს ომს, თუ კუბის კუნძული არ გაათავისუფლე.

„ეს ესპანიის დამღუპველი რევოლიუცია რომ არ მომხდარიყო, რომელმაც შეარცხვინა ჩვენი ქვეყანა, ჩვენში ძმა-ძმის წინააღმდეგი ბრძოლა არ იქნებოდა.

„მაგრამ ვმეფობდე, რევოლიუცია არ მოხდებოდა.

„მე რომ ახლა კი საქმე ჩვენი სამშობლოის ერთობაზედ არის და ესპანიის ყველა შვილები ვალდებულნი არიან, რომ თოფ-იარაღს მოჰკიდონ ხელი. როცა სამშობლოს გაჭირება ადგია, პარტიობას ალაგი არ უნდა ჰქონდეს, ყველას მხოლოთ ის უნდა ახსოვდეს, რომ ის ესპანიელია და არა რომლისამე პარტიის მწევრი.

„თუ ამერიკასთან ბრძოლა ატყდა, მე შეგირიგდები და ვეომოთ, სანამ ეს ბრძოლა გაგრძელდება.

„მაგრამ იცოდე, რომ შერიგების მიზეზი მხოლოთ ეს გარეშე მტერთან ბრძოლაა: ამით მე არ უარ ვყოფ იმ უფლებას, რომელიც ესპანიის გვირგვინზედა მაქვს; მე არ ვკარგავ იმედს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ამ გვირგვინს ჩემს თავზე დავიდგამ.

„თუ გინდა დათანხმდე ამ დროებით შერიგებაზე, ორთავე მხარემ დანდობილი კაცები დავნიშნოთ და პირობებზე მოვილაპარაკოთ.

„თუ უარს ჰყოფ ამ ჩემს წინადადებას, მაშინ მთელს ქვეყანას მაინც ეცოდინება, რომ კათოლიკე ესპანიამ პატიოსნად აასრულა თავის მოვალეობა.“

დონ-კარლოსი

ამ წიგნის პასუხად დონ-ალფონსმა, როგორც გაზეთებში იწერებოდნენ, კარლისტების დასამორჩილებლად გაგზავნილ ღენერალს, კესადას, შეუთვალა, რომ დონ-კარლოსთან რა საქმეებზე მოლაპარაკება ნუ გექნებაო, გარდა იმისა, თუ დამორჩილებაზე დათანხმდებაო.

# სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია 22 ამ თვეს საქმე თ. ზაქარია ვახვახოვისა, რომელმანც, როგორც ყველას ახსოვს, გასული წლის 16 ქრისტეშობის თვეს ამავე სასამართლოში იმის დისა და სიძის (ნიკ. ჩოლოყაშვილის) საქმის გარჩევის დროს ხანჯალი დაჰკრა თავზე ხსენებულს ჩოლოყაშვილს.

ოლქის სასამართლომ აღიარა, რომ ზ. ჩოლაყაშვილი დამნაშავეა იმაში, რომ გაცხარების დროს მოინდომა თ. ნ. ჩოლაყაშვილის მოკვლა, და გადასწყვიტა: ჩამოერთვას იმას ყოველი ღირსება და გაიგზავნოს საცხოვრებლად ციმბირში ტომსკის გუბერნიაში იმ პირობით, რომ ორის წლის განმავალობაში ამ გუბერნიიდამ სხვაგან წასვლის უფლება არ ჰქონდეს და შემდეგ ოთხი წლის განმავალობაში ციმბირში უნდა იმყოფებოდეს; მაგრამ სასამართლომ მიიღო მხედველობაში დამნაშავეს შემამსუბუქებელი გარემოებანი და ამასთანავე გადაწყვიტა: მის იმპერატორებით უდიდესობასთან იშუამდგომლოს, რომ ეს სასჯელი შეუმციროს საპყრობილეში ერთის წლითა და ოთხის თვით დამწყვდევითა.

—

# განცხადებანი

უფ. კალანდაძის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდზედ ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები.

**არსენ კალანდაძის და იაგორ ნერსესოვის გამოცემანი:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბაქნიანი, მეორედ დაბეჭდილი, 1875 წ. | — | 10 |
| ვარდ ბულბულიანი, თქმული თეიმურაზ მეფის პირველის, 1875 წ. | — | 5 |
| ქალ-ვაჟიანი, მეორე გამოცემა, 1875 წ. | — | 5 |
| ალექსიანი, გამოცემა პირველი, 1873 | — | 5 |
| წმიდა მარინეს წამება და ადრამიანი, 1874 | — | 5 |
| ყმაწვილის სარკე ანუ წერა-კითხვის სასწავლი წიგნი შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან 1875 | — | 15 |
| ვეფხვის ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, მეექვსედ დაბეჭდილი, გამოცემული არსენ კალანდაძის, ექვთიმე ხელაძის და იაგორ ნერსესოვისაგან. 1875 | — | 50 |

**ექვთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემანი**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ლოცვანი ყოველდღე სათქმელნი. გამოც. მეორე 1875 | — | 5 |
| სურამის ციხე, მოთხრობა დანიელ ჭონქაძისა, 1875 | — | 20 |
| სამიჯნურო მიწერ-მოწერა ქალ ვაჟისა, 1875 | — | 5 |
| ეთერიანი, აბესალომ და ეთერის ამბავი, შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან, 1875 | — | 5 |
| ჭიანური, გამოცემა პირველი 1875 | — | 10 |

**სტ. ზარაფოვის გამოცემანი**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო კონა, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან 1875 | — | 30 |
| რჩეული არაკები „სიბრძნე სიცრუისაგან", თქმული საბა ორბელიანისაგან, 1874 | — | 5 |
| ლექსები სახალხო სიმღერებისაგან, შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან, 1874 | — | 5 |

---

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ყარამანიანი, კარი პირველი და მეორე, გამოც. დ. ლაზაროვისა და ნიკ. ჭოზალაძისაგან 1875 | — | 60 |
| ყარამანიანი, მესამე კარი | — | 40 |
| სიბრძნე სიცრუის წიგნი, თქმული საბა სულხან ორბელიანისაგან, გამოც. პ. უმიკაშვილისა 1871 | — | 50 |
| თ. გრ. ორბ. ლექსები, გამ. პ. უმიკაშვილისა 1873 | — | 50 |
| დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი, 1873 | — | 50 |
| საქართველო, პირველი რვეული, შესავალი, კავკაზია. თხზულება დიმ. ბაქრაძისა 1871 | — | 50 |
| ბავშვების მოვლა ა. კომბისა, თარგმნილი ვასილ მაჩაბლისაგან, 1870 | — | 50 |
| სამზარეულო წიგნი, შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან, 1874 | 1 | — |
| სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმული იმერ. ეპისკ. | 2 | |
| პაცია ადამიანი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა, ს.-პეტერბურგი 1869 | — | 50 |
| ქართული ქრისტომატია, ნაწილი პირველი და მეორე გამოც. დავით ჩუბინოვისაგან ს. პეტერბურღის | 1 | — |
| ბუნების კარი, დაბალ კლასებში სახმარებელი შედგ. იაკ. გოგებაშვილისაგან 1872 | — | 60 |
| ანბანი, შედგ. იაკ. გოგებაშვილისაგან 1872 | — | 5 |
| დარიგება მასწავლებელთათვის შედგ. ი. გოგებაშვილისაგან 1872 | — | 5 |
| პირველი წიგნი, ამერიკულ მეთოდაზე შედ. რაფ ისარლიშვილისაგან 1875 | — | 5 |
| კალენდარი სომეხთა და ქართველთა გამოცემა ს. მდივანოვისა 1876 წლის | — | 20 |
| თამარ-ბატონიშვილი, ისტ. რომანი გ. რჩეულოვის 1875 | — | 30 |
| მგოსანი, სიმღერები თქმული დავ. გ ვიშვილისაგან, 1875 | — | 20 |
| სალხინო საზანდარი, სხვა სიმღერების კრება შედგ. გ. სკანდარნოვისაგან, 1875 | 1 | — |
| კეთილი ბერიკაცი, ნათარგმნი ეფრ. შარაბიძისა მიერ 1875 | — | 5 |
| კრებულები 1873 წლის ცხრა წიგნი | 3 | — |

---

**იბეჭდება** და მალე გამოვა გასასყიდათ **დროების კალენდარი** პატარა და დიდი.

**სახელმძღვანელო წიგნი მღვდელთათვის** შედგენილი დავით გამბაშიძისაგან.

---

ქალაქს გარეთ ვისაც წიგნების დაბარება უნდა, ამ ადრესით მოითხოვონ.

В Тифлисъ. Книжный магазинъ г. Каландадзе, на Михайловскомъ мосту, зданіе Мирзоева.

კალანდაძის, ნერსესოვის და ხელაძის გამოცემულ წიგნებს ვინც ხუთ მანეთზე მეტს დაიბარებს, მანეთში **ორი შაური** დაეთმობა. სხვა წიგნებში ფოჩტის ფული არ გადახდებათ.

---

**ისყიდება**

თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, განოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

## საყმაწვილო კონა

პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა,

**ბუნების მეცნიერებიდამ**

შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან

გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან

**ფასი ხუთი შაური**

---

**ისყიდება**

კალანდაძის და ვართანოვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდზე პ. უმიკაშვილის გამოცემანი:

## გრიგოლ ორბელიანის ლექსები

ფასი ათი შაური

## სიბრძნე სიცრუის წიგნი

თქმული

**საბა ორბელიანისაგან**

ფასი ათი შაური

---

დაიბეჭდა და ისყიდება

თფილისში, ექ. ხელაძის სტამბაში, განოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლებში და წიგნების მაღაზიაში

## ჭიანური

ანუ

ს ა ხ უ მ რ ო ლ ე ქ ს ე ბ ი

შინაარსით:

— გამარჯობა [illegible] გაბასება ქალებთან! — [illegible] ზედ. — ცოლ-ქრმობის ვითარება. ივერლების და ქართველების შესხმა. — ბატონ-ყმობის ლექსი. — დღეგრძელობა წამკითხველს! —

შეკრებილი და გამოცემული ექ. ხელაძისაგან და თეოფ. კანდელაკისაგან.

ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი.

---

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში **ისყიდება** მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ა **ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა**, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. **ფასი** ერთი აბაზი.

**როინოვის ფოტოგრაფიაში**

(სასახლის ქუჩაზე, ზ. სარაჯევის სახლებში),

ისყიდება სხვა და სხვა ქვეყნების ვ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი ს სურათები და აგრეთვე ახლად გადაღებული სურათი

**შოთა რუსთველისა**

**ფასი:** სულ დიდი კედლის სურათი — 1 მან. თითო ეგზ.

— — კაბინეტისა 50 კაპ.

პატარა კარტოჩკები 20 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ. Въ фотографію Роинова, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджова.

---

**პეტერბურღიდამ ჩამოსული ბებია ბარტენევ — ივანოვისა**

ცხოვრობს კოცებუს ქუჩაზე, მუნთოევის სახლებში, სახელმწიფო ქონების გამგეობის პირ-და-პირ. მნახველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათიდამ 11-მდი. ღარიბებს უფულოდ აძლევს შეწევნას.

---

თფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე სულიკოვისა და სულთანოვიჩის მაღაზიებში და მიგაზ თეიებთან **ისყიდება გეომეტრიული სხეულები** საუკეთესო კარდონის ქაღალდისაგან გაკეთებული რეზინით. გეომეტრიის და ხაზვის სწავლის დროს აუცილებლად საჭიროა. გამოცემა ა. ბენეცკისა. **ფასი** სამი აბაზი გაუგზავნელად. ვინც 10 ეგზემპლიარს ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმათ გაგზავნისათვის არაფერი გადახდებათ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — ოთხშაბათს, დილით.

ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. გაგრას — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 24 გიორგ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $341\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 225 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 87 | 85 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 75 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 29 გიორგ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 5 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 6 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 90 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 10 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Ноября 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.